გადაწყვეტილება

N გ-23-12/318
13/07/2023

318-გ-23-1-4-202307131153

რადიომოყვარულ მარკუს ჰელერის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქემ მარკუს ჰელერმა კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-23-9/1808, 25.05.23) საქართველოში ყოფნის პერიოდში სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. კომისია ახორციელებს რადიომოყვარულისთვის რადიოსახმობის მინიჭებას ამ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსახორციელებლად. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემდგომ და რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება ხუთი წლის ვადით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის მარკუს ჰელერის განაცხადი სახმობის მინიჭებაზე იყო წარმოდგენილი ხარვეზებით, კერძოდ არ იყო ქართულ ენაზე და სანოტარო წესით დამოწმებული, ამასთან წერილს არ ახლდა პასპორტის ქსერო–ასლი, რადიომოყვარულის შესაბამისი ნებართვის ასლი და მისამართი, სადაც განთავსებული იქნებოდა სამოყვარულო რადიოსადგური განმცხადებლის საქართველოში ყოფნის პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, კომისიამ განმცხადებელს მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის განუსაზღვრა 10 სამუშაო დღის ვადა (წერილი № გ-23-03/1330, 13.06.23), მითითებულ ვადაში განმცხადებელს მოთხოვნილი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. განუხილველად დარჩეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე მარკუს ჰელერის განცხადება (№ შ-23-9/1808, 25.05.23) სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის სახმობის დროებით მინიჭების თაობაზე.
2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მოქალაქე მარკუს ჰელერისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) გადაწყვეტილების მოქალაქე მარკუს ჰელერისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი